საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030130906744520

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/5055 **11 / მაისი / 2020 წ.**

შპს ,,სოლემარტის" ზ. ტუკვაძე

ბატონო ზურაბ,

თქვენი 08.05.2020 წლის N43744 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენ შორის 24.04.2020 წელს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N პ/2703031101/40 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების 8.2.2 მუხლის შესაბამისად, „შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხეშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება, აღნიშნულის შესახებ, მიმწოდებლისადმი გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ვადიდან“.

ამავე ხელშეკრულების 15.1 მუხლის „შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში“, საფუძველზე ჩვენ მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე, ვინაიდან თქვენ ვადის დარღვევის გამო, ჯეროვნად ვერ შეასრულეთ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ: ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების ვადად განსაზღვრული იყო 08.05.2020წ. რომლის ფარგლებშიც თქვენ ვერ უზრუნველყავით საქონლის მოწოდება.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ვადის ფარგლებში იყო მოწოდება კრიტიკულად მნიშვნელოვანი და ამიტომაც შესყიდვა განხორციელდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც გადაუდებელ აუცილებლობას გულისხმობს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სამინისტრო (შემსყიდველი) გიწყვეტავთ 24.04.2020 წელს დადებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N პ/2703031101/40 ხელშეკრულებას წინამდებარე წერილის თარიღიდან.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური